



IBSU

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

სასწავლო და სამეცნიერო პროცესში ჩართული პირების თანამდებობაზე დანიშვნის წესი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 02/09/2019წ. - ოქმი №13 (დანართი №1)

დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული დოკუმენტი წაკითხული და მიღებულია.

ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების განხორციელებას.

მოამზადა: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური _____

შეამოწმა: ხარისხის მართვის კომისია _____

დაამტკიცა: აკადემიური საბჭო _____

დოკუმენტის No: IBSU.R19G

ვერსია: 4.00

განახლების თარიღი:

27/02/2023

შეუმოწმებელი ვერსია

შემოწმებული ვერსია

დამტკიცების თარიღი:

02/09/2019

შსსუ-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ აღნიშნულ დოკუმენტს აქვს საბოლოო განახლების ნომერი.

ცვლილების შეტანის სურვილის შემთხვევაში, ხარისხის მართვის საბჭოს წარუდგინეთ დოკუმენტის ცვლილების მოთხოვნის ფორმა.

შინაარსი

შეტანილი ცვლილებები 3

ცვლილებების ნუსხა..... 4

მუხლი 1. საგანი და მოქმედების სფერო..... 7

მუხლი 2. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი 7

მუხლი 3. მოწვეული პერსონალი 7

მუხლი 4. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი 8

მუხლი 5. აკადემიური კონკურსის ჩატარების წესი 8

მუხლი 6. მოთხოვნები აკადემიური თანამდებობების მაძიებლების მიმართ 11

მუხლი 7. აკადემიური თანამდებობის დაკავების კრიტერიუმები..... 15

მუხლი 8. კონკურსის ჩატარების წესი მოწვეული ლექტორის პოზიციისათვის 17

მუხლი 8¹. კონკურსის ჩატარების წესი სასემინარო ნაწილში მოწვეული
ლექტორისათვის..... 18

მუხლი 8². კონკურსის ჩატარების წესი დროებითი მოწვეული ლექტორის პოზიციისათვის
..... 18

მუხლი 9. მოთხოვნები მოწვეული ლექტორის პოზიციის დაკავების მსურველთა
მიმართ 18

მუხლი 9¹. მოთხოვნები დროებითი მოწვეული ლექტორის პოზიციის დაკავების
მსურველთა მიმართ..... 19

მუხლი 10. წარმოსადგენი დოკუმენტები 20

მუხლი 11. ასისტენტის ხელმძღვანელობა..... 22

მუხლი 12. მოწვეული პერსონალის შრომითი ურთიერთობის უწყვეტობა 22

მუხლი 13. აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლება 22

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები 23

შეტანილი ცვლილებები

#	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	ოქმის №	თარიღი
01	აკადემიური საბჭო	22	09.12.2019
02	აკადემიური საბჭო	23	23.12.2019
03	აკადემიური საბჭო	14	26.08.2020
04	აკადემიური საბჭო	20	23.10.2020
05	აკადემიური საბჭო	18	24.09.2021
06	მმართველი საბჭო ¹	08	31.01.2022
07	მმართველი საბჭო	13	21.03.2022
08	მმართველი საბჭო	5	27.02.2023

თავდაპირველი რედაქცია: 02.09.2019- ოქმი #13

¹ უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებით, 01 ნომბრიდან, მმართველ საბჭოს მიენიჭა წინამდებარე დოკუმენტის ცვლილების უფლებამოსილება.

ცვლილებების ნუსხა

#	თარიღი	მუხლი	შენიშვნა
01	09.12.2019	5	აკადემიური კონკურსის ჩატარების წესი
02	23.12.2019	5	აკადემიური კონკურსის ჩატარების წესი
03	23.12.2019	6	მოთხოვნები აკადემიური თანამდებობების მაძიებლების მიმართ
04	23.12.2019	8	კონკურსის ჩატარების წესი მოწვეული ლექტორის პოზიციისათვის
05	26.08.2020	3	მოწვეული პერსონალი
06	26.08.2020	5	კონკურსის გამოცხადების წესი
07	26.08.2020	6	პროფესიული ნიშნით აკადემიური თანამდებობის დაკავება
08	26.08.2020	8 ¹	მოწვეული ლექტორი სასემინარო ნაწილში
09	26.08.2020	9	მოთხოვნები მოწვეული პერსონალის მიმართ
10	23.10.2020	5	აკადემიური კონკურსის ჩატარების წესი
11	23.10.2020	5	აკადემიური კონკურსის ჩატარების წესი
12	23.10.2020	5	აკადემიური კონკურსის ჩატარების წესი
13	23.10.2020	6	მოთხოვნები აკადემიური თანამდებობების მაძიებლების მიმართ
14	23.10.2020	6	მოთხოვნები აკადემიური თანამდებობების მაძიებლების მიმართ
15	23.10.2020	6	მოთხოვნები აკადემიური თანამდებობების მაძიებლების მიმართ
16	24.09.2021	3	მოწვეული პერსონალი
17	24.09.2021	7	აკადემიური თანამდებობის დაკავების კრიტერიუმები

18	24.09.2021	8 ²	კონკურსის ჩატარების წესი დროებითი მოწვეული ლექტორის პოზიციისათვის
19	24.09.2021	9	მთხოვნები მოწვეული ლექტორის პოზიციის დაკავების მსურველთა მიმართ
20	24.09.2021	9 ¹	მთხოვნები დროებითი მოწვეული ლექტორის პოზიციის დაკავების მსურველთა მიმართ
21	24.09.2021	10	წარმოსადგენი დოკუმენტები
22	31.01.2022	5	აკადემიური კონკურსის ჩატარების წესი
23	31.01.2022	13	აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლება
24	31.01.2022	14	დასკვნითი დებულებები
25	21.03.2022	5	აკადემიური კონკურსის ჩატარების წესი
26	21.03.2022	6	მთხოვნები აკადემიური თანამდებობის მაძიებლების მიმართ
27	21.03.2022	7	აკადემიური თანამდებობის დაკავების კრიტერიუმები
28	21.03.2022	8	კონკურსის წესი მოწვეული ლექტორის პოზიციის დასაკავებლად
29	21.03.2022	10	წარმოსადგენი დოკუმენტები
30	21.03.2022	13	აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლება
31	21.03.2022	14	დასკვნითი დებულებები
32	27.02.2023	4	აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი
33	27.02.2023	5	აკადემიური კონკურსის ჩატარების წესი
34	27.02.2023	6	მთხოვნები აკადემიური თანამდებობების მაძიებლების მიმართ
35	27.02.2023	8	კონკურსის ჩატარების წესი მოწვეული ლექტორის პოზიციისათვის

36	27.02.2023	8 ²	კონკურსის ჩატარების წესი დროებითი მოწვეული ლექტორის პოზიციისათვის
37	27.02.2023	9	მოთხოვნები მოწვეული ლექტორის პოზიციის დაკავების მსურველთა მიმართ
38	27.02.2023	10	წარმოსადგენი დოკუმენტები

მუხლი 1. საგანი და მოქმედების სფერო

1.1. წინამდებარე დებულება არეგულირებს სასწავლო და სამეცნიერო პროცესში ჩართული პირების სტატუსს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“), განსაზღვრავს აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორის თანამდებობის დაკავების წესებს, კონკურსის ჩატარების წესს, განმცხადებლებისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესებსა და კრიტერიუმებსა და საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესში ჩართული პირების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 2. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

2.1. უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს მიეკუთვნება:

- 2.1.1. პროფესორი - უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს;
- 2.1.2. ასოცირებული პროფესორი - მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს;
- 2.1.3. ასისტენტ-პროფესორი - თავისი კომპეტენციის შესაბამისად, მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში;
- 2.1.4. ასისტენტი - ძირითადად, საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში, ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით.

2.2. აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრული ოდენობა რეგულირდება „აკადემიური დატვირთვისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის დებულებით“ (R16).

მუხლი 3. მოწვეული პერსონალი

3.1. უნივერსიტეტის მოწვეულ პერსონალს მიეკუთვნება:

- ა) მოწვეული ლექტორი, რომელიც არის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, რომელიც მონაწილეობს ან/და წარმართავს სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე;
- ბ) სასემინარო ნაწილში მოწვეული ლექტორი, რომელიც არის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, რომელიც, აკადემიური თანამდებობის

დაკავების გარეშე, უძღვება სასემინარო-პრაქტიკულ სამუშაოებს, მოწვეული ლექტორის/აკადემიური პერსონალის ზედამხედველობით.

- გ) დროებითი მოწვეული ლექტორი, რომელიც არის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, რომელიც მონაწილეობს ან/და წარმართავს სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, ხანმოკლე ვადით (მაქსიმუმ 1 სემესტრი).

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #14

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #18

მუხლი 4. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

- 4.1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შესაძლებელია მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
- 4.2. ინფორმაცია კონკურსის ჩატარების თარიღისა და პირობების შესახებ (ვაკანტური თანამდებობა, სფერო (შესაბამისი/მომიჯნავე), უნარ-ჩვევები, ფაკულტეტი, პოზიციის ვადა, მოთხოვნები (მაგ. გამოცდილება, უცხო ენის ცოდნა და ა.შ), წარმოსადგენი დოკუმენტები, ვაკანსიების რაოდენობა და სხვა ინფორმაცია) ქვეყნდება ბეჭდვით ორგანოში ან ცხადდება შესაბამისი დასაქმების ელექტრონულ ვებ-გვერდ(ებ)ზე და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესით, უნივერსიტეტში საბუთების წარდგენამდე, სულ მცირე, ერთი თვით ადრე. საბუთების წარდგენის ვადა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2023 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #5

მუხლი 5. აკადემიური კონკურსის ჩატარების წესი

- 5.1. კონკურსი შეიძლება გამოცხადდეს უნივერსიტეტში ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში.
- 5.2. კონკურსის ჩატარების საჭიროებას ადგენს სკოლის საბჭო. მმართველი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის გამოცხადების შესახებ. პროფესიული ნიშნით აკადემიური თანამდებობის გამოცხადების შემთხვევაში, სკოლის საბჭო, პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, მმართველ საბჭოს წარუდგენს მომიჯნავე დარგების ნუსხას (არსებობის შემთხვევაში). რექტორის ბრძანებით განისაზღვრება ბეჭდვითი ორგანოს/შესაბამისი დასაქმების ელექტრონული ვებ-გვერდ(ებ)ის სახელწოდება.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით - ოქმი #8

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2023 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #5

5.3. კონკურსი ტარდება წინამდებარე დებულების შესაბამისად შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ. საკონკურსო კომისია შედგება მუდმივმოქმედი და დროებითი წევრებისაგან. მუდმივმოქმედი წევრები განისაზღვრება წინამდებარე დებულების 5.4 პუნქტის შესაბამისად, ხოლო დროებითი წევრები განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით - ოქმი #8

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი #13

5.4. საკონკურსო კომისიის მუდმივმოქმედი წევრები არიან: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი (თავმჯდომარე), ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურის წარმომადგენელი (წევრი), შესაბამისი სკოლის დეკანი (წევრი), შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი (წევრი) და იურიდიული სამსახურის წარმომადგენელი (კომისიის მდივანი). საკონკურსო კომისიის დროებითი წევრები არიან დარგის სპეციალისტები (ადგილობრივი და/ან მოწვეული). საკონკურსო კომისიაში სულ მცირე ერთი სპეციალისტის მონაწილეობა სავალდებულოა. ერთი სპეციალისტის მონაწილეობის შემთხვევაში, დარგის სპეციალისტი უნდა იყოს მოწვეული. დარგის სპეციალისტი უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში სწავლების გამოცდილების მქონე პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან არის ავტორიზებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #20

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით - ოქმი #8

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი #13

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2023 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #5

5.4¹. საკონკურსო კომისიის ფუნქციას, წინამდებარე მუხლის 5.7.2 – 5.7.5 ქვეპუნქტების მიხედვით, დასაკავებელ პოზიციაზე საუკეთესო კანდიდატის შერჩევა. ამასთან, 5.7.2 პუნქტით განსაზღვრული ეტაპი შესაძლებელია განხორციელდეს კომისიის შემცირებული შემადგენლობით - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურის და პროგრამის ხელმძღვანელის მონაწილეობით. შეფასების შედეგები აისახება შესაბამის ფორმაში (R19F39).

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #20

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი #13

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2023 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #5

5.5. გადაწყვეტილება შერჩეულ კანდიდატ(ებ)თან დაკავშირებით მიღებულ უნდა იყოს საბუთების მიღების დასრულებიდან ექვსი თვის ვადაში.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი #13

- 5.6. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. ამასთან, პროგრამის ხელმძღვანელის და დარგის სპეციალისტ(ებ)ის მონაწილეობა აუცილებელია. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით.
- 5.7. კონკურსი ტარდება შემდეგი ეტაპების დაცვით:
- 5.7.1. განაცხადების მიღება/დარეგისტრირება;²
 - 5.7.2. დარეგისტრირებული განაცხადების გადარჩევა გამოცხადებული კონკურსის მოთხოვნების შესაბამისად;
 - 5.7.3. გადარჩეული განაცხადების შეფასება;
 - 5.7.4. კანდიდატებთან გასაუბრება;
ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2023 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #5
 - 5.7.5. საცდელი ლექციის ჩატარება (საჭიროების შემთხვევაში).
ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი #13
- 5.8. გადარჩეული განაცხადების შეფასება ხორციელდება შესაბამისი ქულობრივი მაჩვენებლით აკადემიური საქმიანობის ანგარიშის ფორმის (R36I1F1) შესაბამისად;³
ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი #13
- 5.9. გასაუბრების ეტაპზე კანდიდატები ფასდებიან (R19F33) ფორმით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.
- 5.10. კომისია უფლებამოსილია, კანდიდატს მოსთხოვოს საცდელი ლექციის ჩატარება. საცდელი ლექცია ტარდება პროგრამის/სასწავლო კურსის სწავლების ენაზე. საცდელი ლექციის შეფასება ხდება საცდელი ლექციის შეფასების (R19F37) ფორმით განსაზღვრული ინდიკატორების მიხედვით. კომისიის მიერ საცდელი ლექციის ჩატარების საჭიროება შესაძლოა განისაზღვროს როგორც კანდიდატთან გასაუბრების, ასევე საბუთების შეფასების ეტაპზე. კანდიდატის თანხმობით, საცდელი ლექცია და გასაუბრება შესაძლებელია ჩატარდეს ერთსა და იმავე დღეს.
ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #20
- 5.10¹. კომისია უფლებამოსილია, გასაუბრებისგან (მოწვეული ლექტორობის კანდიდატის შემთხვევაში) გაათავისუფლოს კანდიდატი თუ პროგრამის ხელმძღვანელი, დეკანი და/ან დარგის სპეციალისტი მას უწევს შესაბამის რეკომენდაციას.
ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით - ოქმი #8
ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2023 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #5

² ხორციელდება კანცელარიისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ.

³ არ ვრცელდება პროფესიული ნიშნით აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთა მიმართ.

- 5.11. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს 5.8-5.10¹ პუნქტებით განსაზღვრული შეფასებების საფუძველზე.
ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით - ოქმი #8
- 5.12. კომისიის სხდომები ფორმდება ოქმის სახით. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
- 5.13. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებ(ებ)ის საფუძველზე 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში რექტორი გამოსცემს ბრძანებას კანდიდატ(ებ)ის აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.
- 5.14. კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, განმცხადებლებს ეცნობებათ კონკურსის შედეგების შესახებ. შერჩეულ კანდიდატებთან, ფორმდება შრომითი ხელშეკრულება (R19F25/ R19F25a) და მოთხოვნის შემთხვევაში გაიცემა ცნობა აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ (R19F23).
- 5.15. კანდიდატი უფლებამოსილია გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომისიის წინაშე შემდეგი წესის შესაბამისად:
- 5.15.1. კანდიდატის მიერ კომისიის შედეგის გასაჩივრების შემთხვევაში იქნება სააპელაციო კომისია 3 პირის შემადგენლობით. სულ მცირე 1 (ერთი) დარგის გარე სპეციალისტი;
 - 5.15.2. კანდიდატმა შედეგი უფლებამოსილია გაასაჩივროს შედეგის გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში;
 - 5.15.3. კომისიას ეძლევა არაუმეტეს 1 (ერთი) თვე საკითხის შესასწავლად.
ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #22
ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #23
ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #14
ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2023 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #5

მუხლი 6. მოთხოვნები აკადემიური თანამდებობების მაძიებლების მიმართ

- 6.1. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს კონკურსით გამოცხადებული ვაკანსიის შესაბამისი მიმართულების დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 5 (ხუთი) წლის ვადით, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 (ექვსი) წლის გამოცდილება სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასოცირებულ პროფესორად/პროფესორად მუშაობის არანაკლებ 3 (სამი) წლიანი გამოცდილება, პროგრამის/სასწავლო კურსის შესატყვისი ენის ცოდნის შესაბამისი დონე და აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ სხვა მოთხოვნებს.

6.2. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს უვადოდ პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის 6.1 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული პროფესიული მიღწევები ან/და სამეცნიერო მიღწევები (მაგალითად, აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ ან საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ან სხვა); ამ შემთხვევაში პროფესორმა უნდა გაიაროს ატესტაცია ყოველ ხუთ წელიწადში. ატესტაციის გასავლელად პროფესორმა უნდა წარმოადგინოს შევსებული აკადემიური საქმიანობის ანგარიშის ფორმა (R36I1F1) არანაკლებ 250 ქულობრივი მაჩვენებლით. ატესტაციის გაუვლელია წარმოადგენს უნივერსიტეტში პროფესორის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს. პროფესორისთვის სტატუსის გაგრძელების/შეწყვეტის საკითხს, ატესტაციის შედეგების საფუძველზე, წყვეტს მმართველი საბჭო.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი #13

6.3. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება, არჩეულ იქნეს კონკურსით გამოცხადებული ვაკანსიის შესაბამისი მიმართულების დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 5 (ხუთი) წლის ვადით, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 (სამი) წლის გამოცდილება, პროგრამის/სასწავლო კურსის შესატყვისი ენის ცოდნის შესაბამისი დონე და აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

6.4. ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს კონკურსით გამოცხადებული ვაკანსიის შესაბამისი მიმართულების დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 4 (ოთხი) წლის ვადით, რომელსაც აქვს პროგრამის/სასწავლო კურსის შესატყვისი ენის ცოდნის შესაბამისი დონე და აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ სხვა მოთხოვნებს.

6.5. ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს კონკურსით გამოცხადებული ვაკანსიის შესაბამისი მიმართულების დოქტორანტი 3 წლის ვადით, რომელსაც აქვს პროგრამის/სასწავლო კურსის შესატყვისი ენის ცოდნის შესაბამისი დონე და აკმაყოფილებს ამ დებულებით დადგენილ სხვა მოთხოვნებს.

6.6. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიძლება განისაზღვროს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ ამ მუხლის 6.1-6.5 პუნქტებით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობების დაკავების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება, დადასტურდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც

აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია და:

- ა) პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის უნდა ფლობდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს;
- ბ) ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის უნდა ფლობდეს იმავე ან მომიჯნავე მიმართულების მაგისტრის ან იმავე ან სხვა მიმართულების დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს;
- გ) ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის უნდა ფლობდეს იმავე ან მომიჯნავე მიმართულების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს;
- დ) ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის უნდა იყოს იმავე ან მომიჯნავე მიმართულების სადოქტორო პროგრამის სტუდენტი.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2023 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #5

6.7. პროფესიული ნიშნით აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია დასტურდება შემდეგი კრიტერიუმებით, 6.7¹ პუნქტით დადგენილი კომბინაციის შესაბამისად:

- 6.7.1. კანდიდატს უნდა ჰქონდეს შესაბამისი მიმართულებით მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება (ასისტენტისათვის სულ მცირე 3 (სამი) წელი, ასისტენტ-პროფესორისათვის სულ მცირე 5 (ხუთი) წელი, ასოცირებული პროფესორისათვის სულ მცირე 7 (შვიდი) წელი და პროფესორისათვის სულ მცირე 10 (ათი) წელი);
- 6.7.2. ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არანაკლებ 2 პუბლიკაცია შესაბამისი მიმართულებით და/ან დარგის შესაბამისი სპეციალური მომზადება;
- 6.7.3. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სულ მცირე 1 წლიანი სამეცნიერო - პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი #13

6.7¹ წინამდებარე მუხლის 6.7.1 და 6.7.2 პუნქტებით განსაზღვრული კრიტერიუმები ალტერნატიულია. კანდიდატის მხრიდან ერთ - ერთი მათგანის დაკმაყოფილება საკმარისია, ხოლო 6.7.3 პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმის დაკმაყოფილება სავალდებულოა 6.7.1 ან 6.7.2 პუნქტით განსაზღვრულ კრიტერიუმთან ერთობლიობაში. ამასთან, პროფესიული ნიშნით ასისტენტის აკადემიური პოზიციის დაკავების შემთხვევაში სწავლების გამოცდილების მოთხოვნა არ

ვრცელდება. ამასთან, პროფესიული ნიშნით აკადემიური პოზიციის განმეორებით დაკავების შემთხვევაში, 6.7.1 და 6.7.2 პუნქტებით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილება კუმულატიურად უნდა მოხდეს.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2023 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #5

6.7.² თუ კანდიდატის მიერ აკადემიური თანამდებობის დაკავება მოხდა მინიმუმ 2 (ორი) სამეცნიერო ნაშრომის გარეშე, წინამდებარე წესის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების დადებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალი ვალდებულია გამოაქვეყნოს დარგთან დაკავშირებული სულ მცირე 1 (ერთი) პუბლიკაცია.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი #13

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2023 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #5

6.8. პროგრამის/სასწავლო კურსის შესატყვისი ენის ცოდნის შესაბამისი დონე არის მინიმუმ B2, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებით უფრო მაღალი დონე არის განსაზღვრული.

6.9. თუ პროგრამის/სასწავლო კურსის სწავლების ენა არის კანდიდატის მშობლიური ენისაგან განსხვავებული ენა, კანდიდატს შესაბამის ენაზე მიღებული უნდა ჰქონდეს აკადემიური განათლება ან ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ერთსა და იმავე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩატარებული ჰქონდეს ლექციები შესაბამის ენაზე, არანაკლებ 2 (ორი) სემესტრის განმავლობაში. საჭიროების შემთხვევაში, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, კანდიდატს შესაძლოა ეთხოვოს შესაბამის ენაზე გასაუბრების წარმართვა/საცდელი ლექციის ჩატარება.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #20

6.10. ენის ცოდნის დონის შეფასების მიზნით ჩატარებულ საცდელ ლექციას/გასაუბრებას წინამდებარე დებულების 5.4 პუნქტით განსაზღვრულ კომისიასთან ერთად, უნდა ესწრებოდეს შესაბამისი ენის არანაკლებ 1 (ერთი) სპეციალისტი. ენის სპეციალისტი არის კომისიის დროებითი წევრი და კომისიის მუშაობაში მისი ჩართვა ხორციელდება კომისიის გადაწყვეტილებით. კანდიდატის ენობრივი კომპეტენციის შეფასების ნაწილში გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ენის სპეციალისტის შეფასებას უპირატესობა ენიჭება.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #20

6.11. წინამდებარე წინამდებარე დებულების 5.7.4 და 5.7.5 პუნქტითა და 6.10 პუნქტით განსაზღვრული საცდელი ლექციები/გასაუბრება შესაძლოა ჩატარდეს ერთი საცდელი ლექციის/გასაუბრების სახით.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #20

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი #13

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2023 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #5

6.12. აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული პირი იმავდროულად, უნდა წარმოადგენდეს უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პირს, რომელიც უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში და უნივერსიტეტში ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო მისი კვლევის შედეგები ეთვლება უნივერსიტეტს, ჩართულია უნივერსიტეტში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა საგანმანათლებლო საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევასა და აკადემიურ/სამეცნიერო ხელმძღვანელობას.

6.13. გამონაკლის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია აკადემიური პოზიცია გამოცხადდეს არასავალდებულო აფილირების პირობით.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #23

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #14

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი #13

მუხლი 7. აკადემიური თანამდებობის დაკავების კრიტერიუმები

7.1. აკადემიური პერსონალის თანამდებობის დაკავებისათვის, კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- 7.1.1. დოქტორის აკადემიური ხარისხი (გარდა ასისტენტისა და პროფესორის ნიშნით შერჩეული აკადემიური პერსონალისა);
- 7.1.2. სამეცნიერო - პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება (გარდა ასისტენტისა და ასისტენტ-პროფესორისა);
- 7.1.3. პროგრამის/სასწავლო კურსის ენის ცოდნა 6.8 პუნქტის შესაბამისად.
- 7.1.4. ლექციის წარმართვისათვის აუცილებელი უნარების არსებობა (დგინდება გასაუბრებისა და/ან საცდელი ლექციის საფუძველზე);
- 7.1.5. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის კანდიდატის მიერ მინიმუმ 200 ქულის დაგროვება (სულ მცირე 100 ქულა უნდა მოგროვდეს აკადემიური პუბლიკაციების/წიგნების ხარჯზე);⁴
- 7.1.6. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის კანდიდატის მიერ მინიმუმ 100 ქულის დაგროვება

⁴ არ ვრცელდება პროფესორის ნიშნით აკადემიური პოზიციის დაკავების შემთხვევაში.

(სულ მცირე 50 ქულა უნდა მოგროვდეს აკადემიური პუბლიკაციების/წიგნების ხარჯზე);⁵

7.1.7. ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის კანდიდატის მიერ მინიმუმ 50 ქულის დაგროვება (სულ მცირე 25 ქულა უნდა მოგროვდეს აკადემიური პუბლიკაციების/წიგნების ხარჯზე);⁶

7.1.8. ასისტენტის აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის კანდიდატის მიერ სულ მცირე 20 ქულის დაგროვება (სულ მცირე 10 ქულა უნდა მოგროვდეს აკადემიური პუბლიკაციების/წიგნების ხარჯზე).⁷

7.2. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავებისათვის, 7.1 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების დაკავების გარდა, სავალდებულოა კანდიდატმა დააკმაყოფილოს 7.3. პუნქტიდან სულ მცირე ნებისმიერი ორი კრიტერიუმი ან 7.3¹ კრიტერიუმი.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #18

7.3. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად განსაზღვრული დამატებითი სავალდებულო კრიტერიუმები:

7.3.1. საერთაშორისო ციტირების ინდექსის მქონე ჟურნალში სულ მცირე 1 სტატიის გამოქვეყნება (ნაბეჭდი ან ელექტრონული);

7.3.2. გამოცემული წიგნის (მისი მეცნიერული ღირებულების მიხედვით, რომელიც გამოქვეყნდა საერთაშორისო გამომცემლობის ან საერთაშორისო/ეროვნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ) ავტორობა (წიგნის მოცულობა არის მინიმუმ 100 გვერდი);

7.3.3. საერთაშორისო/ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი/საგანმანათლებლო პროექტის ხელმძღვანელობა;⁸

7.3.4. საზღვარგარეთის ავტორიზებულ (მასთან გაიგივებულ) უმაღლეს საგანმანათლებლო/კვლევით დაწესებულებაში სასწავლო ან/და კვლევითი გამოცდილება;

7.3.5. დაცული სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელობა;

⁵ არ ვრცელდება პროფესიული ნიშნით აკადემიური პოზიციის დაკავების შემთხვევაში.

⁶ არ ვრცელდება პროფესიული ნიშნით აკადემიური პოზიციის დაკავების შემთხვევაში.

⁷ არ ვრცელდება პროფესიული ნიშნით აკადემიური პოზიციის დაკავების შემთხვევაში.

⁸ ეროვნულ პროექტებში მხედველობაში მიიღება მხოლოდ სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები.

- 7.3.6. ციტირების ინდექსის/h-ინდექსი არანაკლებ 3 მაჩვენებელი;
- 7.3.7. საერთაშორისო სამეცნიერო ჟილდო/პატენტი;
- 7.3.8. (ამოღებულია).

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #18

7.3.¹ მიმართულების შესაბამისი განსაკუთრებული პროფესიული მიღწევები, რომლებიც ფასდება კომისიის მიერ.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #18

- 7.4. კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ბოლო 5 (ხუთი) კალენდარული წლის განმავლობაში განხორციელებული მიმართულების/დარგის შესაბამისი სამეცნიერო-პედაგოგიური აქტივობა.
- 7.5. აკადემიურ თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის შეფასება ხდება R36I01F01-ით განსაზღვრულ კრიტერიუმების შესაბამისად.
- 7.6. სილაბუსის/სილაბუსების შეფასება ხდება მისი მიზნების, შინაარსის, სწავლის შედეგებისა და სწავლების მეთოდების ადექვატურობით.

მუხლი 8. კონკურსის ჩატარების წესი მოწვეული ლექტორის პოზიციისათვის

- 8.1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე (მოწვეული ლექტორი).
- 8.2. მოწვეული ლექტორის ვაკანტური პოზიციის გამოცხადების საჭიროების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის საბჭო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმების საფუძველზე.
ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2023 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #5
- 8.3. მოწვეული ლექტორის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად ცხადდება კონკურსი ბეჭდით მედიაში და/ან დასაქმების ელექტრონულ ვებ-გვერდზე და/ან უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
- 8.4. პროგრამის/სასწავლო კურსის შესატყვისი ენის ცოდნის შესაბამისი დონის დადგენა ხდება 6.8 – 6.10 ქვეპუნქტების შესაბამისად.
- 8.5. მოწვეული ლექტორის პოზიციაზე კანდიდატის შერჩევა ხდება 5.3 პუნქტით განსაზღვრული კომისიის მიერ (კომისიაში დარგის სპეციალისტი მონაწილეობს საჭიროების შემთხვევაში, კომისიის გადაწყვეტილებით) 5.7.1, 5.7.2, 5.7.4, 5.7.5 პუნქტებით განსაზღვრული ეტაპების გავლის გზით.
- 8.6. მოწვეული ლექტორის პოზიციაზე კანდიდატის შერჩევის მიზნით, კომისიის მუშაობა წესრიგდება მე-5 მუხლის 5.5, 5.6 (გარდა დარგის სპეციალისტის

მონაწილეობის სავალდებულოობის ნაწილისა), 5.9, 5.10, 5.10¹, 5.12. პუნქტებით დადგენილი წესით.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #23

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი #13

მუხლი 8¹. კონკურსის ჩატარების წესი სასემინარო ნაწილში მოწვეული ლექტორისათვის

8^{1.1} უნივერსიტეტი უფლებამოსილია, მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, სასემინარო-პრაქტიკული სამუშაოების წარმართვისათვის, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე. აღნიშნული პირი სასემინარო - პრაქტიკულ სამუშაოებს გაუმდგება მოწვეული ლექტორის/აკადემიური პერსონალის ზედამხედველობით (სასემინარო ნაწილში მოწვეული ლექტორი).

8^{1.2} სასემინარო ნაწილში მოწვეული ლექტორის ვაკანტური პოზიციის გამოცხადება და კონკურსის წესით აყვანა ხდება 8.2 – 8.6 პუნქტებით დადგენილი წესით.

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #14

მუხლი 8². კონკურსის ჩატარების წესი დროებითი მოწვეული ლექტორის პოზიციისათვის

8^{2.1}. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე (დროებითი მოწვეული ლექტორი).

8^{2.2}. დროებითი მოწვეული ლექტორის მოწვევა ხდება სკოლის საბჭოს წარდგინებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით.

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #18

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2023 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #5

მუხლი 9. მოთხოვნები მოწვეული ლექტორის პოზიციის დაკავების მსურველთა მიმართ

9.1. მოწვეულ ლექტორად შესაძლებელია აყვანილ იქნეს:

ა) შესაბამისი/მომიჯნავე მიმართულებების სულ მცირე მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს გამოცხადებული ვაკანსიის შესაბამისი, დოკუმენტურად დადასტურებული შესაბამის დარგში მნიშვნელოვანი პროფესიული გამოცდილება ან სპეციალური მომზადება ან დარგის შესაბამისი არანაკლებ 1 წელი სამეცნიერო და/ან პედაგოგიური გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და პროგრამის/სასწავლო კურსის შესატყვისი ენის ცოდნის შესაბამისი დონე;

ბ) მიმართულების არაშესაბამისი (გარდა მომიჯნავესა) სულ მცირე მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც ფლობს

პროგრამის/სასწავლო კურსის შესატყვისი ენის ცოდნის შესაბამის დონეს და
ამავდროულად აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორ პირობას:

- 1) დოკუმენტურად დადასტურებული მნიშვნელოვანი პროფესიული
გამოცდილება (დარგში);
- 2) დარგში სპეციალური მომზადება;
- 3) დარგში არანაკლებ 1 წლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #18

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2023 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #5

- 9.2. სასემინარო ნაწილში მოწვეულ ლექტორად შესაძლებელია აყვანილ იქნეს პირი,
რომელიც ფლობს სულ მცირე მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ
ხარისხს შესაბამისი მიმართულებით, აქვს პროგრამის/სასწავლო კურსის
შესატყვისი ენის ცოდნის შესაბამისი დონე და სასემინარო/პრაქტიკული ნაწილის
წარმართვის კომპეტენცია ლექტორის ზედამხედველობით.

ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით - ოქმი #14

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2023 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #5

- 9.3. ენის სწავლების მიზნებისათვის, მოწვეულ ლექტორად შესაძლებელია აყვანილ
იქნეს სულ მცირე მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის
მქონე პირი, რომელსაც აქვს სალექციო კურსის წარმართვისათვის საჭირო ენობრივი
კომპეტენცია და ფლობს პედაგოგიურ უნარებს, რაც დასტურდება:

- ა) სწავლების გამოცდილებით;
- ბ) სერტიფიკატით/შესაბამისი ცნობით;
- გ) აკადემიური ხარისხით;
- დ) საცდელი ლექციით.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2023 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #5

მუხლი 9¹. მოთხოვნები დროებითი მოწვეული ლექტორის პოზიციის დაკავების მსურველთა მიმართ

- 9¹.1. დროებით მოწვეულ ლექტორად შესაძლოა აყვანილ იქნეს უცხო ქვეყნის უმაღლესი
საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი ან მნიშვნელოვანი
გამოცდილების/სპეციალური მომზადების მქონე პირი, რომელიც ფლობს
პროგრამის განხორციელების ენას მინიმუმ B2 დონეზე და აქვს პროგრამით
განსაზღვრული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი
კომპეტენცია.
- 9¹.2. დროებითი მოწვეული ლექტორის ენობრივი კომპეტენცია დასტურდება ერთ-ერთი
ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმით:

1. შესაბამის უცხო ენაზე სწავლების სულ მცირე ერთწლიანი გამოცდილება;
2. უცხო ენის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის ფლობა;
3. არის შესაბამისი უცხოენოვანი პროგრამის კურსდამთავრებული;
4. არის იმ ქვეყნის მოქალაქე/ბინადრობის ნებართვის მქონე პირი, რომლის პირველი/მეორე ოფიციალური ენა არის შესაბამისი უცხო ენა.

ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #18

მუხლი 10. წარმოსადგენი დოკუმენტები

- 10.1. აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველმა პირებმა განცხადებით (R19F20) უნდა მიმართონ რექტორს და წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:
 - 10.1.1. საინფორმაციო ფორმა - R19F18;
 - 10.1.2. პირადობის/ID ბარათის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული პასპორტის თარგმანი/ბინადრობის ნებართვის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
 - 10.1.3. ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი დიპლომის ასლი ან/და ნოტარიულად დამოწმებული უცხო ქვეყნის მიერ გაცემული დიპლომის/ შესაბამისი სერტიფიკატის თარგმანი. იმ შემთხვევაში თუ დიპლომი ჯერ არ გაცემულა, დამთავრების ცნობის წარდგენა აუცილებელია. ამასთან, უცხო ქვეყნის მიერ გაცემული დიპლომი აღიარებულ უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და წარმოდგენილ იქნეს აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
 - 10.1.4. სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი ცნობა;
 - 10.1.5. CV ქართულ და ინგლისურ ენაზე არანაკლებ ორი რეკომენდატორის მითითებით;
 - 10.1.6. აკადემიური საქმიანობის ანგარიში (R36I1F1);
ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი #13
 - 10.1.7. დარგის შესაბამისი სამეცნიერო შრომებისა და პუბლიკაციების სია და მათი ასლები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
 - 10.1.8. სილაბუსი (R3I2F3): ქართულ და ინგლისურ ენაზე (თუ სასწავლო კურსი შემოთავაზებულია ინგლისურ ენაზე) ან ქართულ ენაზე (თუ სასწავლო კურსი შემოთავაზებულია ქართულ ენაზე) ან კანდიდატმა კონკურსისთვის შესამღებელია წარმოდგინოს სხვა ფორმატში შესრულებული სილაბუსიც.

- 10.1.9. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან ცნობა ყოფილი/ამჟამინდელი სამსახურიდან (შხსუ-ის გარდა);
 - 10.1.10. ტრენინგებსა და კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი/სერთიფიკატი (არსებობის შემთხვევაში);
 - 10.1.11. უცხო პროგრამის/სასწავლო კურსის შესატყვისი ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატის ასლი/შესაბამის უცხო ენაზე მიღებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (საჭიროების შემთხვევაში). უცხო ენაზე გაცემული დოკუმენტის შემთხვევაში - სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი და ასლი ან შესაბამის ენაზე სალექციო კურსების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - 10.1.12. აკადემიური თანამდებობის პოზიციის დაკავების ვაკანსიისთვის დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისი სხვა დოკუმენტაცია;
 - 10.1.13. პროფესიული ნიშნის დამადასტურებელი დოკუმენტები წინამდებარე დებულების მე-6.6 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში.
- 10.2. მოწვეული ლექტორის პოზიციის დაკავების მსურველებმა განცხადებით (R19F20) უნდა მიმართონ რექტორს და წარმოადგინონ 10.1 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები (გარდა 10.1.6, 10.1.12, 10.1.13 პუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტებისა).
- 10.2¹. დროებითი მოწვეული ლექტორის პოზიციის დაკავების მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ რექტორს და წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:
- 10.2¹.1 პირადობის/ID ბარათის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული პასპორტის თარგმანი/ბინადრობის ნებართვის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
 - 10.2¹.2 CV ინგლისურ ენაზე;
 - 10.2¹.3 საბანკო რეკვიზიტი ლარში სს „თიბისი ბაკიდან“;
 - 10.2¹.4 სარეკომენდაციო წერილი უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან/ დამსაქმებლისგან.
- ცვლილება შეტანილია აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით - ოქმი #18*
- 10.3. დებულების 10.1 პუნქტში მითითებული დოკუმენტები კანცელარიაში წარდგენილ უნდა იქნეს როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით. განცხადების წარდგენის ეტაპზე, პირმა შესაძლოა უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე გადმოაგზავნოს მხოლოდ დასკანერებული დოკუმენტები.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2023 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით - ოქმი #5

- 10.4. არასახელმწიფო ენაზე გაცემული დოკუმენტის შემთხვევაში (გარდა სერტიფიკატებისა), სავალდებულოა სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანის წარმოდგენა.
- 10.5. კონკურსის წესით შერჩეულმა კანდიდატებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ:
 - 10.5.1. ორი ფოტო-სურათი (3X4) - ამობეჭდილი და ელექტრონული ვერსია (CD დისკზე ან ელ-ფოსტით);
 - 10.5.2. საბანკო რეკვიზიტი ლარში სს „თიბისი ბაკიდან“;
 - 10.5.3. წარმოდგენილი დოკუმენტების ნაბეჭდი ვერსიები.

მუხლი 11. ასისტენტის ხელმძღვანელობა

- 11.1. ახალგაზრდა კადრების აღზრდა-განვითარების მიზნით, აკადემიური პერსონალი (გარდა ასისტენტისა) შესაძლოა იყოს ასისტენტის ხელმძღვანელი.
- 11.2. ხელმძღვანელობა მოიაზრებს ასისტენტის სისტემატიურ მეთვალყურეობას, სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობების განხორციელებაში ჩართვას, სისტემატიურ კონსულტაციებს და ასისტენტის საქმიანობის წლიურ შეფასებას.
- 11.3. ასისტენტის შეფასება ხორციელდება აკადემიური პერსონალის წლიური შეფასების ფორმის (R36I1F4) და ხელმძღვანელის წლიური შეფასების (R19F37) დაჯამების საფუძველზე.

მუხლი 12. მოწვეული პერსონალის შრომითი ურთიერთობის უწყვეტობა

- 12.1. შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, საგანამანთლებლო პროგრამის საჭიროებიდან გამომდინარე, მოწვეულ პერსონალთან შესაძლებელია, ხელახლა დაიდოს შრომითი ხელშეკრულება იმავე პოზიციაზე ახალი კონკურსის გამოცხადების გარეშე.

მუხლი 13. აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლება

- 13.1. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა ფასდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, საქმიანობის შეფასების ფორმით (R36I1F3), რომელიც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიმართვის საფუძველზე, მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლოა გახდეს აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი.

ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით - ოქმი #8

- 13.2. აკადემიურ და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით“ (R36I1) დადგენილი წესით.

13.3. აკადემიური და, მოწვეული პერსონალისა თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლებია:

- 13.3.1. პირადი განცხადება;
- 13.3.2. შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;
- 13.3.3. ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა უხეში დარღვევა;
- 13.3.4. დისციპლინური ნორმების უხეში და/ან სისტემატური დარღვევა;
- 13.3.5. შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა;
- 13.3.6. პერსონალის წლიური შეფასების ფორმით (R36I1F1) გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა ზედიზედ ორი წლის განმავლობაში;⁹
ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი #13
- 13.3.7. წინამდებარე დებულების მე-5 მუხლით დადგენილი წესით, შესაბამის ვადაში ატესტაციის გაუვლელობა;¹⁰
- 13.3.8. მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები შესაძლოა გახდეს მასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ან ახალი ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის საფუძველი.
- 13.3.9. კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები

- 14.1. საკითხები, რომელიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სხვა დებულებების შესაბამისად.
- 14.2. წინამდებარე დებულებაში ცვლილება შედის მისი მიღებისათვის დადგენილი წესით.
- 14.3. წინამდებარე დებულება ძალაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე.
- 14.4. წინამდებარე დებულების შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.
- 14.5. წინამდებარე დებულების მე-5 მუხლის 5.3 პუნქტით განსაზღვრული, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილი მუდმივმოქმედი საკონკურსო კომისია ჩაითვალოს უფლებამოსილად მმართველი საბჭოს მიერ ახალი კომისიის შემადგენლობის დამტკიცებამდე.

⁹ აკადემიური პერსონალისათვის.

¹⁰ აკადემიური პერსონალისათვის.

- ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით - ოქმი #8*
- 14.6. გაუქმებულად ჩაითვალოს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის მუდმივმოქმედი წევრები.
- ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი #13*
- 14.7. მმართველი საბჭოსათვის მინიჭებული უფლებამოსილება აფილირების ასავალდებულო პირობით აკადემიური კონკურსის გამოცხადების შესახებ, გავრცელდეს 2021 წლის იანვრიდან გამოცხადებულ აკადემიურ კონკურსებზე.
- ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი #13*
- 14.8. დებულების მე-7 მუხლის 7.5 პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმები, რომლებიც დამტკიცებულ იქნა 2022 წლის 21 მარტამდე, გავრცელდეს 2022 წლის 01 მაისამდე გამოცხადებულ აკადემიურ კონკურსებზე.
- ცვლილებები შეტანილია მმართველი საბჭოს 2022 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით - ოქმი #13*

უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს შპს-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.

შპსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, წარმომავლობის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, გონებრივი, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.

გამოსცა:

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131
თბილისი, საქართველო
www.ibsu.edu.ge
contact@ibsu.edu.ge

